ხელშეკრულება N46

31 მაისი 2017 წელი

ქ.ხაშური

ერთი მხრივ ააიპ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბოლოკაძის სახით, მეორე მხრივ საქველმოქმედო ფონდი 'მომავლის მზე" წარმოდგენილი თავმჯდომარის ნინო წულაძის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   1.1 ხაშურში, მეტრეველის და პუშკინის ქუჩებზე მდებარე ბავშთა სახლებიდან, მზრუნველობამოკლებული ბავშვების თბილისში ექსკურსიის განმავლობაში კვებითი მომსახურება. CPV: 55330000
2. ხელშეკრულების ღირებულება
   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 266.70 ლარს;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე
4. მიღება-ჩაბარების წესი
   4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვიტარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე
   4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5. მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია თბილისი;
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2017 წლის 1 ივნისს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში
7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9.1 ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

9.2 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 14 ივლისამდე;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა და	საქველმოქმედო ფონდი „მომავლის მზე“
მოზარდთა შემოქმედებითი	
განვითარების ცენტრების გაერთიანება	
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-4კვ, კორპ4 ბ4
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტეიფიკაციო კოდი 405206281
ბანკის კოდიTRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE 83 BG 0000000221098400
გაერთიანების დირექტორი	თავმჯდომარე
გიორგი ბოლოკაძე	ნინო წულაძე